ხელშეკრულება N 10

დ. ხულო   **სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**   15 იანვარი 2016 წ.

ერთის მხრივ, სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ ღორჯომის საჯარო სკოლა (შემდგომში შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ:რეზო გორგაძის სახით და მეორეს მხრივ ი/მ თენგიზ ბოლქვაძე მისამართი: ხულო (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თენგიზ ბოლქვაძის სახით წინამდებარე ხელშეკრულებით შევთანხმდით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა მიაწოდოს საკანცელარიო, სამეურნეო და საოფისე საქონელი, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

მუხლი 2. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების წესი

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2000 (ორიათს) ლარს სახელმწიფო გადასახადების ჩათვლით. მისი (CPV კოდი: 22100000 22800000 30100000 30200000 37400000 39100000 39500000 39200000)

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ერთჯერადად, მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს სკოლის დირექტორი

4.2. მომსახურება ჩაითვლება გაწეულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5. მომსახურების გაწევის ადგილი და ვადა

5.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ღორჯომი

5.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2016 წლის 15 იანვრიდან 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, მოთხოვნიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.

6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს მომსახურება იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 5.2 პუნქტში.

6.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

7.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

8.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

8.5. მხარე ვალდებულია 8.4 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. დაუძლეველი ძალა

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2016 წლის 15 იანვრიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები:

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფელ ღორჯომის საჯარო სკოლა	ინდ/მეწარმე თენგიზ ბოლქვაძე
მის: ხულოს მუნიციპალიტეტი სოფელი ღორჯომი	მის: ხულო
საიდენტიფიკაციო კოდი: 248053733	საიდენტიფიკაციო კოდი 6100 9006669
სს ლიბერთი ბანკი	ხულოს სს „ ლიბერთი ბანკი" ბათ. ფილი.
ბანკის კოდი: LBERTGE 22	ბანკის კოდი: L B R T G E 22
ა/ა. GE 90LB0121198207321000	ა/ა GE 75 LB 011 211 714 085 6000
დირექტორის მ/შ: /რ.გორგაძე/	ინდ / მეწარმე: /თ. ბოლქვაძე. /
ბ. ა.	ბ. ა.

მიღება ჩაბარების აქტი

ხულო

B062016

ჩვენს ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ ღორჯომის საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორმა რეზო გორგაძემ და მეორეს მხრივ -- [illegible] ..... შევადგინეთ მიღება ჩაბარების აქტი შემდეგზე;

პირველმა მხარემ ჩავიბარე ხოლო მეორე მხარემ ჩავაბარე 508.80 ლარის ღირებულების საქონელი- [illegible]

პირველმა მხარემ ჩავიბარე

სსიპ ღორჯომის საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი: ..... (რ.გორგაძე)

მეორე მხარემ ჩავაბარე: ..... (ი. [illegible] .....)

მიღება ჩაბარების აქტი

ხულო 20.09.2016

ჩვენს ქვემოთ ხელის მომწერნი ერთის მხრივ სსიპ ხულოს მუნიციპალიტეტის სოფ ღორჯომის საჯარო სკოლა წარმოდგენილი დირექტორმა რეზო გორგაძემ და მეორეს მხრივ --ი/მ [illegible] ბოლქვაძე------------------ შევადგინეთ მიღება ჩაბარების აქტი შემდეგზე;

პირველმა მხარემ ჩავიბარე ხოლო მეორე მხარემ ჩავაბარე 411.50 ლარის ღირებულების საქონელი-საკანცელარიო ნივთები

პირველმა მხარემ ჩავიბარე

სსიპ ღორჯომის საჯარო სკოლა

სკოლის დირექტორი:------------(რ.გორგაძე)

მეორე მხარემ ჩავაბარე:-------------------(ი/მ ბოლქვაძე---)